პროექტის რეფლექსია

2018-2019 სასწავლო წელს დაიგეგმა პროექტი "მეტი შეგვიძლია!-ბავშვებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერების ხელშეწყობა აღმოსავლეთ ევროპაში", რომელშიც სამოქალაქო განათლებასთან ერთად ჩაერთო კომპიუტერული მეცნიერებები.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე მოძიებული იქნა უამრავი მასალა, როგორც ტექსტური, ისე ელექტრონული სახით, მოხდა სამუშაოს გადანაწილება, მათი დახარისხება და პრეზენტაციისათვის მომზადება, მომზადდა პლაკატები, ლოზუნგები, საარჩევნო ბიულეტენები. ლიცეუმის კლუბში ამომრჩეველებთან სარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი იყო საარჩევნო პროგრამები, გაიმართა დისკუსია. მოხდა საარჩევნო უბნის მოწყობა და იმიტირებული არჩევნების ჩატარება. საარჩევნო კომისიამ შეადგინა არჩევნების შემაჯამებელი ოქმი.

პროექტის მსვლელობისას კადეტებს განუვითარდათ ახალი მასალის მოპოვების, ანალიზის, სინთეზის, თანამშრომლობითი და კვლევითი უნარები, ასევე რომ პროექტმა ხელი შეუწყო მოსწავლეებში დემოკრატიის პრინციპებისა და კონსტიტუციური უფლებების გააზრებას. ამ პროექტმა კიდევ ერთხელ ნათლად დამანახა სწავლების ასეთი მეთოდის უპირატესობა და ის ემოციები, რომელიც მოსწავლეში აღიძრება თემატიკიდან გამომდინარე. მიზანი სრულად იქნა მიღწეული. პროექტის ხარვეზად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ პროექტში ჩართული იყო მხოლოდ მეათე კლასის კადეტები. სამომავლოდ ვფიქრობ, რომ მსგავს პროექტში ჩავრთო საშუალო საფეხურის ყველა კადეტი.

პროექტის დასასრული მართლაც ემოციული აღმოჩნდა და ეს მუხტი დიდხანს გაგვყვა იქ მყოფთ. პროექტის შედეგიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ შემდეგშიც დავგეგმავ ინტეგრირებულ პროექტებს, რადგან ინფორმაციის მრავალფეროვნება საინტერესოს ხდის მის მსვლელობას და მეტ ინოვაციას სძენს პროექტს. ჩემი აზრით როგორც სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა შედეგს მივაღწიე, ნათლად დავანახე ის შედეგები, იმიტირებული არჩევნების ჩატარებას მოჰყვა.

ქ.მელქაძე